პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 14 (1650) ○ სამშაბათი, 31 იანვარი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

225 სანტიმეტრი



1961 წლის სენსაცია!

ჩვენ ამას წინათ, გამოვაქვეყნეთ ვ. ბრუმელის ასეთივე სურათი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვ. ბრუმელი მაშინ წვდებოდა კალათბურთის მხოლოდ ბადეს, ახლა იგი წვდება უშუალოდ კალათის რგოლს. ამის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ერთ 225 სანტიმეტრი დაძლია.

დ. ბრონშტეინი სწირავს ლაგიერს

XII ტურს არ შეუტანია ცვლილებები ლიდერთა განლაგებაში, მაგრამ იგი გამოირჩეოდა ბრძოლის სიმწვავით და პარტიების ხარისხით. პირველ რიგში ეს შეეხება ბრონშტეინ-სიმაგინის შეხვედრას.

პარტია თუმცა ნიმცოვიჩის მშვიდი დაცვით დაიწყო, მაგრამ მე-16 სვლაზე ბრონშტეინმა პაიკის შეწირვით „ქარიშხალი“ წარმოშვა. კიდევ ოთხი სვლის შემდეგ მან ხარისხიც გაიმეტა ძლიერი იერიშის მისაღებად. მაგრამ სიმაგინმა სულგრძელობა გამოიჩინა და არ დახარბდა „ვერაგ საჩუქარს“, მაშინ ბრონშტეინმა ლაზიერი შეწირა ეტლში, კუსა და პაიკში. ტაქტიკურ შეტაკებაში სიმაგინმა ორი პაიკის ფასად თავი დააღწია წაგებას, მაგრამ გადადო პარტია არასახარბიელო პოზიციაში.

შეუპოვარ თამაშში გელერმა და კორჩნოიმ „განაიარაღეს“ ერთმანეთი და 30-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით, მაგრამ მე-19 სვლაზე დამთავრდა პეტროსიანისა და ავერბახის შეხვედრა. საზაეო „პაქტის“ დადებით დასრულდა აგრეთვე ტაიმანოვ-პოლუგაევსკისა და ლუტიკოვ-გუფელდის შეხვედრა.

ჯიქურ მიიწევს წინ ჩემპიონატის დებიუტანტი—შტეინი. ჩერეპკოვთან შეხვედრაში მან ისე გაართულა თამაში, რომ ლენინგრადელ ოსტატს რამდენიმეჯერ მოუწია გასვლამ „ბეწვის ხიდზე“. ბოლოს ჩერეპკოვს დრო არ ეყო — საათის ალამი ჩამოუვარდა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. სპასკის უპირატესობა აქვს ბორისენკოსთან, ბოლესლავსკის — სმისლოვთან, ხასინს—ტარასოვთან და ბანიკს—ფურმანთან.

XII ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანსა და ე. გელერს 8,5 ქულა აქვთ თვითეულს, ლ. შტეინსა და ლ. პოლუგაევსკის 7,5 ქულა თვითეულს, ბ. სპასკისა და ვ. სმისლოვს — 7 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ტ. ზატულოვსკაია—ვ. ბორისენკოს მატჩი

28-29 იანვარს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობდა ტ. ზატულოვსკაია-ვ. ბორისენკოს მატჩის მეხუთე პარტია. პირველ დღეს პარტია არ დამთავრებულა; იგი გადაიდო ბაქოელი მოჭადრაკის უპირატესობით. მეორე დღეს ტ. ზატულოვსკაიამ შეძლო მისი მოგება.

მატჩის ანგარიშია 3:2. ვ. ბორისენკოს სასარგებლოდ.

სურათზე: ბაკურიანის საციგურაო. თამაშობენ თბილისისა და ქუთაისის ჰოკეისტები. ანგარიში იხ. მე-3 გვ. სათაურით „პირველი ჩემპიონი“.

ლენინგრადში სტუდენტებს ზამთრის შეჯიბრებაზე გამოჩენილა საბჭოთა მძლეოსანმა ვალერი ბრუმელმა დაძლია სიმაღლე 2 მ 25 სმ. ეს ფენომენალური შედეგი აღემატება მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის რეკორდს.

ვ. ბრუმელის ეს წარმატება ელვის სისწრაფით მოედო მთელს მსოფლიოს. მრავალი ქვეყნის რადიომ სპეციალისტთა კომენტარებით ახარა სპორტის მოყვარულებს უდიდესი ამბავი. მსოფლიო რეკორდსმენმა ჯ. თომასმა საბჭოთა კოლეგის შესახებ განაცხადა: „მოველოდი, ვ. ბრუმელი შესანიშნავი მბტომელია“.

საბჭოთა მძლეოსანმა სიმაღლე 2 მ 25 სმ აიღო დახურულ დარბაზში. საინტერესოა, რომ ამ ორიოდე ღამეს წინ ჯ. თომასმა ამავე პირობებში დაძლია მხოლოდ 2 მ 21 სმ. ვ. ბრუმელის მიღწევა არ ჩაითვლება მსოფლიო რეკორდად, მაგრამ სპეციალისტების აზრით ზაფხულში საბჭოთა მძლეოსანი „ბოლოს მოუღებს“ ჯ. თომასის მსოფლიო რეკორდს — 2 მ 22,8 სმ.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). 27 იანვარს შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისა და ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის საერთაშორისო შეხვედრათა კალენდრის საკითხები, დამტკიცდა 26 ფეხბურთელთა სია, რომლებიც ნაკრების კანდიდატები არიან.

პრეზიდიუმმა მოისმინა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის გ. კაჩალინის მოხსენება VII მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების გეგმებზე. ნაკრების შემადგენლობაში შევიდნენ: **მეკარეები** — ლ. იაშინი, ვ. მასლაჩენკო, ს. კოტრიკაძე; **დაცვა** — ა. მედაკინი, ვ. პეტროკი, ი. ნეტო, ვ. შუსტიკოვი, გ. რიაბოვი, გ. ჩოხელი, ლ. ოსტროვსკი; **ნახევარდაცვა** — ვ. ვორონინი, ნ. მანოშინი, ი. შიკუნოვი, შ. იამანიძე; **თავდასხმა** — ს. მეტრეველი, ო. ბაზილევიჩი, ვ. ივანოვი, ი. ჩისლენკო, ვ. სერებრიანიკოვი, ვ. პონედელნიკი, ვ. ლობანოვსკი, ბ. ბატანოვი, ვ. ბუბუკინი, გ. ჰუსაინოვი, მ. მესხი, ი. მოსალევი. გუნდის მთავარი მწვრთნელია გ. კაჩალინი, მწვრთნელი ნ. გულიაევი. გუნდის უფროსია ან. სტაროსტინი.

* * *

დამტკიცდა საკავშირო ჩემპიონატის კალენდრის პირველი ნაწილი. გათამაშება გაიხსნება 8 აპრილს და დამთავრდება 21 ოქტომბერს. მატჩები წინასწარ ქვეჯგუფებში ჩატარდება 11 აგვისტომდე, რის შემდეგ I-X ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები ბრძოლას განაგრძობენ 30 აგვისტოს, ხოლო მომდევნო ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები — 16 აგვისტოს.

საშუალოდ ინტერვალი მატჩებს შორის შეადგენს 5 დღეს.

თბილისის „დინამოს“ პირველი მატჩების კალენდარი ასეთია:

8 აპრილი. „დინამო“ (თბილისი)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი).

14 აპრილი. „დინამო“ (თბილისი)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი).

20 აპრილი. „დინამო“ (თბილისი)-„დაუგავა“ (რიგა).

26 აპრილი. სკა (როსტოვი)-„დინამო“ (თბილისი).

2 მაისი. „ტორპედო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბილისი).

7 მაისი. „ავანგარდი“ (ხარკოვი)-„დინამო“ (თბილისი).

* * *

ისევე, როგორც შარშან, საბჭოთა კავშირის კლუბების ნაკრები გუნდი წინასასეზონო მზადებას გაივლის უცხოეთში. დაახლოებით შუა თებერვალს იგი გაემგზავრება ბერლინში, სადაც სხვადასხვა შემადგენლობით ჩაატარებს 4 საწვრთნელ მატჩს. ამის შემდეგ მოსალოდნელია ნაკრების გამგზავრება ჰოლანდიაში.

მსოფლიო პირველობაზე 4 შესარჩევი მატჩის შემდეგ ნორვეგიისა და თურქეთის გუნდებს შორის, რომლის კალენდარი უკვე იყო გამოქვეყნებული, სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ჩაატარებს 6 ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს ავსტრიასთან, (მოსკოვში), პოლონეთთან (ვარშავაში), იტალიასთან (რომში), ფინეთთან (ჰელსინკსა და ლენინგრადში) და შვეიცარიასთან (მოსკოვში). ამ შეხვედრათა თარიღები დადგინდება შესაბამისი ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციებთან შეთანხმების შემდეგ.

* * *

სსრ კავშირის საკლუბო გუნდები 1961 წელს ჩაატარებენ 400-მდე საერთაშორისო მატჩს. ამ თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ „ა“ და „ბ“ კლასების კოლექტივები. დაგეგმილია შეხვედრები ინგლისის, საფრანგეთის, ბრაზილიის, არგენტინის, იტალიის, ბელგიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების გუნდებთან. როგორც გასულ წლებში, რამდენიმე საერთაშორისო მატჩი გაიმართება თბილისის დინამოელთა მონაწილეობით როგორც უცხოეთში, ისე საკუთარ მინდვრებზე.

კოვგოლოვოს ფერდობებზე

კოვგოლოვოში ტარდება ავსტრიის, ნორვეგიის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა ამხანაგური შეჯიბრება.

ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა რ. ეროშინამ (სსრკ). მან მანძილი დაფარა 20.09,0. ოლიმპიური ჩემპიონი ამ დისტანციაზე მ. გუსაკოვა მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

ვაჟები პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს 30-კილომეტრიან დისტანციაზე. ტრასის პირველი 10 კილომეტრი ყველაზე უკეთ გაიარა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ს. ერნბერგმა (შვეცია). მისი შედეგი იყო 33 წუთი. 15 წამით ჩამორჩებოდა მას ნ. ანიკინი. 15 კილომეტრის შემდეგაც წინ იყო ერნბერგი, მაგრამ მას უკვე მიუახლოვდნენ თანამემამულე რ. რემგორდი და ნ. ანიკინი. 25 კილომეტრის გავლას ლიდერმა მოანდომა — 1:24.20,0. იგი წინ იყო ფინიშთანაც, მაგრამ უკანასკნელ მეტრებზე მას გადაუსწრო რენგორდმა, რომელმაც დაიკავა კიდეც პირველი ადგილი შედეგით 1:42.30,0. ნ. ანიკინი მესამე ადგილზე გამოვიდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოლიმპიურ თამაშებზე სკვოველში პირველ სამ ადგილზე სწორედ ეს სპორტსმენები გამოვიდნენ იმ განსხვავებით, რომ გამარჯვება მაშინ ს. ერნბერგს დარჩა.

სოფელი — ჩვენი ყურადღების ცენტრში!

უდიდესი პოლიტიკური მოვლენებით დაიწყო ახალი, 1961 წელი. მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც მიიღო საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანესი დადგენილება—„1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის, სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა აგრეთვე მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მუშაობა პარტიისა და და საბჭოთა ხალხის მძლავრი და ურყევი ერთიანობის ახალი მკაფიო დადასტურება იყო, რომლის დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლას, კიდევ უფრო დააჩქარებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება ახალი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. ამოცანა — სამშობლოს მივცეთ უფრო მეტი სახალხო დოვლათი! — ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან მოითხოვს დიდ შემოქმედებითს მუშაობას. ამიტომ, როგორც არასდროს, ახლა მეტად მწვავედ დგას სოფლად ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობის საკითხი. ხელი შეუწყო სოციალისტური სოფლის მუშაკთა ფიზიკურ გამოწრთობას, დიდი პატრიოტული საქმეა. ამ საქმეს ხორცი უნდა შეასხას სპორტულმა საზოგადოება „კოლმეურნემ“, რასაკვირველია, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების დახმარებით.

უკანასკნელ წლებში ცოტა რამდი გაკეთდა სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის აღმავლობისათვის. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ამ საქმეში ჩოხატაურისა და კასპის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების თაოსნობამ. ჩამოყალიბდა ახალი კოლექტივები, უკვე არსებული ორგანიზაციულად განმტკიცდა, აგებულ იქნა ახალი ბაზები, „კოლმეურნეს“ სპორტსმენები უფრო თამამად გავიდნენ რესპუბლიკისა და საკავშირო სპორტულ სარბიელზე. ჩოხატაურელთა და კასპელთა თაოსნობა კვლავ ძალაშია, კვლავ მოქმედებს... მაგრამ იანვრის პლენუმის შედეგები მოგვიწოდებს გადავხედოთ სოფლად ყველა უბანზე არსებულ საქმიანობას, გარდავქმნათ, გავამდიდროთ ისინი ახალი ელემენტებით. ამიტომ საჭიროა ახალი ინიციატივა, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით ამოწურავს საკითხს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ბევრია მოწინავე კოლექტივი, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მათ მდიდარ გამოცდილებას, დავამუშაოთ და განვაზოგადოთ იგი.

განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ საშეფო მუშაობა. ეს საქმე ჩვენს რესპუბლიკაში ერთ დროს სათანადო სიმაღლეზე იდგა, შემდეგ სპარტაკიადებმა და სხვა დიდმა ღონისძიებებმა გაგვიტაცა და სოფელზე შეფობა მივივიწყეთ. რასაკვირველია, ყველამ არა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კოლექტივმა ამას წინათ მოაწყეს სოფლად გასვლა. მარტყოფისა და დიდი ლილოს კოლმეურნე ფიზკულტურელებს გაუმართეს სპორტული საღამო, საჩვენებელი წვრთნა და, რაც მთავარია, საჩუქრად გადასცეს მრავალი ინვენტარი, რომელიც სოფლის კოლექტივებს ჰაერივით სჭირდება. ორი უმაღლესი (თუნდაც სამის, ან ოთხის) სასწავლებლის ეს კეთილშობილური საქმე საკმარისი არ არის. საჭიროა ყველა მსხვილ წარმოება-დაწესებულებას, სასწავლებელს, სპორტულ საზოგადოებას ჰყავდეს თავისი საშეფო სასოფლო კოლექტივი, გული შესტკიოდეს მასზე, ეხმარებოდეს და ზრუნავდეს მისი შემდგომი განმტკიცებისათვის.

შეფობის გარდა აუცილებლად საჭიროა სპორტული ბრიგადების შექმნა და რაიონებში, სოფლებში მათი გაგზავნა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დიდი სიხარულით შეხვდებიან სოფლად ჩვენი ოლიმპიელების გამოჩენას. სოფლის სპორტსმენებს სურთ ახლო ნახონ, როგორ ხტება რ. შავლაყაძე, როგორ ჭიდაობს ა. ქორიძე, როგორ თამაშობენ გ. მინაშვილი, ვ. უგრეხელიძე., სპორტულ ბრიგადას დიდი საქმის გაკეთება შეუძლია. ამის გამოცდილება ჩვენ გვაქვს და ამ საქმეს ყველამ უნდა მოკიდოს ხელი. ბრიგადა უნდა იყოს მრავალფეროვანი და შინაარსიანი.

შეფობა და ბრიგადები ეს გარედან დახმარებაა, მაგრამ ძირითადი საქმე თვით კოლმეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა უნდა გააკეთოს. ამიტომ საჭიროა რაისპორტკავშირების, „კოლმეურნის“, რაისაბჭოებისა და, რაც მთავარია, კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრი აქეთკენ უნდა იქნას გადატანილი. ყველა კოლმეურნეობაში რომ ჩფექდეს ფიზკულტურული მუშაობა, რომ კვირა დღეებსა და თავისუფალ საათებში სპორტულ მოედნებზე გაისმოდეს მათი ომახიანი ყიჟინა, საჭირო იქნება საზოგადოებრივი კადრების მომზადება. მხოლოდ მათი დახმარებით გადავჭრით სოფლად მუშაობის იმ ამოცანებს, რომელიც ჩვენს წინაშე დასახა ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ.

ჩვენ ამ წერილში რამდენიმე საკითხს შევეხეთ. სოფელი მეტად

ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის!

დიდი უბანია, ამიტომ „კოლმეურნეს“ თუ ყველამ დახმარების ხელი არ გავუწოდეთ, მას მუშაობა გაუჭირდება. ყველამ ერთად უნდა მოვიფიქროთ, დავაზუსტოთ, ავწონ-დავწონოთ, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია, რათა სათანადო წვლილი შევიტანოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.



შეფი მოვიდა სოფელში

23 იანვარს უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა სოფელ მარტყოფში. ყველა კლუბისაკენ მიიჩქაროდა, რომლის კარებზე აფიშა იუწყებოდა: „დღეს გვესტუმრება ჩვენი შეფი — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივი. გაიმართება დიდი სპორტული საღამო“.

ხუთასადგილიან კლუბში ტევა არ იყო.

— ამხანაგებო, — გაისმა დარბაზში მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. მიგრიაულის ხმა — უნდა გავუმხილოთ ჩვენს შეფს, რომ ჩვენს სოფელში, სადაც რვაათასი მცხოვრები და შესანიშნავი ახალგაზრდობაა, ფიზკულტურა და სპორტი ვერ არის სათანადო დონეზე. მოდი დღეიდან ბოლო მოვუღოთ ამ მდგომარეობას. ჩვენი შეფის დახმარებით, ჩვენი მონდომებით სპორტი გადავაქციოთ მარტყოფელთა საყვარელ საქმედ.

შემდეგ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანმა ა. ციბაძემ დამსწრეებს მოუთხრო იმ წარმატებებზე, რაც საქართველოს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა მოიპოვეს 40 წლის მანძილზე.

იმის შესახებ, თუ რა საქმეს ემსახურება ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და როგორაა აქ წარმართული სასწავლო-სპორტული მუშაობა, დამსწრეებს უამბო ინსტიტუტის დირექტორმა ალ. ფალავანდიშვილმა.

— ჩვენ,—აღნიშნა ბოლოს მან, — დაგვიგროვდა დიდი გამოცდილება სპორტსმენთა აღზრდის საქმეში; გამოიყენეთ ეს გამოცდილება, ნუ მოგვერიდებით, მოგვთხოვეთ და ჩვენ არასოდეს დაგზარდებით. ერთად ვიბრძოლოთ თქვენს სოფელში სპორტის აღმავლობისათვის. ჩვენ სისტემატურად მოგაწვდით სპორტულ იარაღს, მოგიმზადებთ საზოგადოებრივ-ფიზკულტურულ კადრებს, სისტემატურად გამოვგზავნით ჩვენს პედაგოგებს და მოწინავე სტუდენტებს მეთოდური დახმარების აღმოსაჩენად.

დამსწრეების წინაშე საინტერესო მოგონებით გამოვიდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტი ვ. ბალავაძე; ბოლოს ინსტიტუტის პროფკომის თავმჯდომარემ მ. მაისურაძემ დამსწრეებს საზეიმო ვითარებაში გადასცა საჩუქრად ჩამოტანილი სპორტული ინვენტარი.

დასასრულს, დამსწრეებს თავისი ოსტატობა უჩვენეს ფიზკულტურის ინსტიტუტის აკრობატებმა, ტანმოვარჯიშეებმა, მოფარიკავეებმა, მოჭიდავეებმა, შტანგისტებმა. ნაჩვენები იქნა ინსტიტუტის კინომოყვარულთა მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები „წინაპართა ნაკვალევზე“ და „ქართველი ფალავნები“.

ქ. ბაშელი

* * *

სურათზე: მარჯვნივ — სპორტის ოსტატი ო. კაკიაშვილი და მისი აღზრდილი ჯ. ლაშხი ვარჯიშის დროს. საჩვენებელი გამოსვლა თავისუფალ ჭიდაობაში.

ფოტო გ. ბურჯანაძისა.



მესტიაშიც ციგურაობენ

მესტიის ახალგაზრდობა ციგურებს პირველად გასული წლის ზაფხულში გაეცნო, როდესაც აქ წვრთნას გადიოდა საქართველოს მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი. სპორტსმენები ვარჯიშობდნენ გორგოლაჭებიანი ციგურებით.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა და რაიონში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული სპორტის აღნიშნული სახეობის დანერგვისა და განვითარებისათვის. მესტიაში ჩამოყალიბდა მოციგურეთა სექცია, რომელშიც გაერთიანდა ოცამდე ახალბედა.

როგორც სექციის ხელმძღვანელის ვ. ფალიანის განცხადებიდან ჩანს, სექციას თავის განკარგულებაში აქვს მხოლოდ ათი წყვილი ციგურა. ინვენტარის უქონლობა საგრძნობლად აფერხებს ხელს სრიალის ტექნიკის ამაღლებაში. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სექციის გარეშეა დარჩენილი.

ვ. რატიანი

* * *

სურათზე: ვ. ფალიანი (მარცხნივ) და მისი სექცია.

პირველი ჩემპიონი

დამთავრდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა ზამთრის სახეობებში

✦

კოლექტივი და სოლისტი

ახალქალაქი (ნაკრები)-აჭარა (ნაკრები) — 29 თებერვალი, ბაკურიანის ჰოკეის მოედანი. 9:4 (3:1, 6:2, 3:2), მსაჯები: გ. შერსტნიოვი (მოსკოვი), ი. ორაგველიძე (თბილისი).

ეს იყო სამოცი წუთის სიამოვნება სტადიონის ჯებირის გარშემო მჭიდრო მწკრივებად ჩამდგარ მაყურებელთათვის, თვით ჰოკეის ისეთი „სტაჟიანი“ და მრავალნახული მაყურებლისათვისაც კი, რომლებიც მოსკოვიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან არიან აქ ჩამოსულნი. ამ მატჩში დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი სტილი: კოლექტიური, ერთის მხრივ და ძლიერ, ტექნიკურ მოთამაშეზე — „სოლისტზე“ აგებული, მეორეს მხრივ. ახალქალაქის ნაკრები ყველა რგოლში დაახლოებით ერთნაირი სიძლიერის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული და ამიტომ მისი თამაშიც ძირითადად დროულ გადაცემებზე და გადამწყვეტ იერიშში მოთამაშეთა მორიგეობით ჩართვაზეა გაანგარიშებული. ამ სტილმა პირველსავე წუთებზე გაამართლა: უეცარი, ერთობლივი და მძლავრი დაწოლა გოლით დაგვირგვინდა — 1:0. ამის შემდეგ მთელი ხუთი წუთი ორმხრივ იერიშებში გავიდა, აჭარის ნაკრებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოთამაშე № 9.—ა. კალინინი, რომელიც თავისი გუნდის სული და გული იყო. მას არა მარტო შიყავდა თამაში, არამედ, ხშირად, თვით მისივე კოლექტივის ყველა მოქმედება იქითკენ იყო წარმართული, რომ გადამწყვეტ დარტყმაზე ან გარღვევაზე გაეყვანა თავისი ლიდერი. მე-6 წუთზე აჭარის წარმომადგენლებმა მოახერხეს კიდევაც ეს: კალინინმა ზონის ხაზთან მიიღო შაიბა, ბიძგით გაიჭრა წინ და ლამაზი მოჭრილი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1. ამის შემდეგ სრული ძალით ამოქმედდა ახალქალაქელთა „მექანიზმი“, შაიბა გამუდმებით გადადიოდა ერთი ფრთიდან მეორეზე და გუნდიც თანდათანობით სულ უფრო მწვავე საგოლო მომენტებს ქმნიდა. და აი, ახალქალაქელებმა ორი შაიბა გაიტანეს. 3:1 — ასე დამთავრდა პირველი პერიოდი.

მეორე პერიოდი აჭარის ნაკრების მძლავრი შტურმით დაიწყო. მ. კალინინის მხარდამხარ სრული დატვირთვით იბრძვის მისი გუნდის მეორე ლიდერიც — ვინოგრადოვი (№ 10). შტურმი შეუნელებლად გრძელდება 5-6 წუთს; კალინინის დარაჯი — ახალქალაქელთა და საერთოდ — მთელ ჩემპიონატის საუკეთესო დამცველი ა. ზაზულინი ძლივს-ძლივობით აკავებს მას, და აი, რაც თითქოს მომწიფდა გოლი ახალქალაქელთა კარში, შაიბა შეეხო... აჭარის ნაკრების ბადეს. ეს მოხდა უეცარი გარღვევის შედეგად — 4:1. ეს იყო საბოლოო გარდატეხა ახალქალაქელთა სასარგებლოდ. მეორე პერიოდის დამთავრებამდე მათ კიდევ ორი შაიბა გაიტანეს (ვ. მაკეევმა და ი. რულინმა), ხოლო მიიღეს ერთი (ა. კალინინი) და ანგარიში გახდა 6:2.

მესამე პერიოდი ყველაზე „უხვი“ აღმოჩნდა. იგი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. შემდეგ, თითქმის ერთდროულად, მოედნიდან ორი წუთით გაძევებულ იქნა ახალქალაქელთა ორი მოთამაშე, მაგრამ აჭარის გუნდმა ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა. როცა მოედანზე ძალთა თანაფარდობა დამყარდა, ახალქალაქის ნაკრები კიდევ ერთი შაიბით გავიდა წინ — ი. მაკეევის დარტყმის შემდეგ. მე-13 წუთზე დაუღალავმა კალინინმა მესამე შაიბა გაიტანა მეტოქეთა კარში, ხოლო ერთი წუთის შემდეგ მისმა ერთ-ერთმა თანაგუნდელმა კიდევ უფრო შეამციარა ანგარიშში სხვაობა — 7:4. ამის შემდეგ ბრძოლა მეტისმეტად მწვავე, მეტისმეტად დაძაბული გახდა. ეს გაგრძელდა თამაშის ზუსტად ბოლო წუთამდე, როცა ი. მაკეევმა მერვე შაიბა გაიტანა და მეტოქეთა უკანასკნელი შანსებიც გააქარწყლა. რამდენიმე წამით ადრე ახალქალაქელებმა კიდევ მიაღწიეს წარმატებას და დამაჯერებელი ანგარიშით მოიგეს კიდეც მატჩი — 9:4.

ახალქალაქის ნაკრები რესპუბლიკის პირველი ჩემპიონი გახდა შაიბიან ჰოკეიში.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

სურათებზე: საქართველოს 1961 წლის ჩემპიონები ფიგურულ სრიალში მარცხნივ — ი. ჯაფარიძე, მარჯვნივ — ი. არხანგელსკაია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალის წინ

შეხვედრა დღეა, რაც თბილისის განათლების სამინისტროს სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს საკავშირო შეჯიბრება ხელბურთში (7×7) უძლიერეს ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. გასულ კვირას ჩატარდა წინასწარი შეხვედრების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი თბილისის „ბურევესტნიკსა“ და ლვოვის სკიფის ვაჟთა გუნდებს შორის.

თამაშში ბურთი პირველად ლვოველებმა შეიყვანეს და საკმაოდ ტემპიანადაც დაიწყეს თბილისელთა კარის იერიში. მაგრამ პირველი შეტევა მოგერიებული იქნა და ახლა თბილისელები გადავიდნენ საპასუხო შეტევაზე. ი. შელეგიას ძლიერი ტყორცნის შემდეგ ბურთი მოხვდა უკრაინელთა კარის ძელს... კვლავ ტყორცნა, ამჯერად ლვოველთა ერთ-ერთი მცველი ჯარიმდება და ორი წუთით ტოვებს მოედანს, მაგრამ ქართველი სპორტსმენები ვერ იყენებენ რიცხობრივ უპირატესობას. გადის წუთი და თბილისელთა ლიდერი თ. ანთაძე, ხსნის ანგარიშს — 1:0. სულ მალე იგივე ანთაძე ანგარიშს ზრდის ორამდე. თბილისელები უხეშ შეცდომას უშვებენ დაცვაში, რასაც კარგად იყენებენ უკრაინელი სპორტსმენები და ანგარიში იცვლება—2:1. მასპინძლებმა ტემპს მოუმატეს. კიდევ ერთი ლამაზი კომბინაცია და ანთაძეს თავისი კოლექტივი გაჰყავს წინ — 3:1. სტუმრები ბურთით თბილისელთა საჯარიმო მოედანზე არიან... ელვისებური ნახტომი, ანთაძემ გადაჭრა მოწინააღმდეგის ერთ-ერთი გადაცემა, სწრაფად გაიჭრა სტუმრების კარისაკენ. ლამაზი ნახტომით დაამთავრა მან თავისი გარღვევა და ანგარიში გახდა 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

უკრაინელი სპორტსმენები აშკარა დამარცხების წინაშე აღმოჩნდნენ. მაგრამ მათ ადრე აუღეს ალღო მასპინძლებს, ტემპი შეანელეს და უფრო დახვეწეს თავიანთი თამაში. შედეგმაც არ დააყოვნა. მალე თბილისელთა კარში აღმოჩნდა მეორე ბურთი, რასაც ჯერ ი. შელეგიამ, შემდეგ ჯ. ბაგრატიონმა და კ. ხატისკაცმა საშ ბურთით უპასუხეს. პირველი ნახევრის დამთავრებამდე სტუმრებმა შეძლეს ორი ბურთის გაქვითვა.

7:5 — თბილისელთა სასარგებლოდ. ასე დამთავრდა შეხვედრის პირველი ნახევარი.

დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი და თბილისელებმა მკვეთრად გააუარესეს თამაში. დაიკარგა ტემპი, კოლექტიურობა და მატჩმა მიიღო სტუმრებისათვის სასარგებლო ხასიათი. უკრაინელთა ერთ-ერთი შეტევა დამთავრდა თბილისელთა კარის აღებით — 7:6. მალე მათ გაათანაბრეს ანგარიში, თუმცა თბილისელებს ორჯერ ჰქონდათ ანგარიშის გახრდის საშუალება, მაგრამ ვერ გამოიყენეს ორჯერ 7-მეტრიანი საჯარიმო (თ. ანთაძე, გ. მაჭავარიანი). სტუმრებმა კი ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს და ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ წაიყვანეს — 9:7.

ამის შემდეგ მასპინძლები არაკი ცდილან გარდატეხა შეეტანათ თამაშში. ანგარიში კი იზრდებოდა უკრაინელთა სასარგებლოდ, თუმცა პერიოდულად თბილისელთა შეტევებიც მთავრდებოდა მოწინააღმდეგის კარის აღებით, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ მოუტანია საბოლოო შედეგისათვის. მხოლოდ უკანასკნელ წუთებში გააქტიურდნენ ჩვენი ხელბურთელები, მაგრამ გვიანღა იყო. მსაჯის საფინალო სასტვენმა აღნიშნა უკრაინელ სპორტსმენთა გამარჯვება ანგარიშით 14:11.

* * *

რა შეიძლება ითქვას ჩვენს ქალთა გუნდზე? კოლექტივი ახალგაზრდულია და ხანგრძლივ წვრთნას საჭიროებს. იგი მოისუსტებს როგორც ტაქტიკურად, ისე ტექნიკურად და გასაკვირი არც არის, რომ აგებს მატჩებს გამოცდილ კოლექტივებთან. ამ დღეს თბილისელი გოგონები შეხვდნენ ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ და განიცადეს დამარცხება ანგარიშით 3:11. თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდა.

* * *

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი შეხვდა სერპუხოვის „ტრუდს“. მატჩი მოიგეს სერპუხოვის ხელბურთელებმა — 14:13.

ვ. ხანჯალაძე

* * *

სურათზე: ქალთა და ვაჟთა თამაშის მომენტები.

ყოველი სტუდენტი სპორტსმენი უნდა იყოს!

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად პოპულარულია სპორტი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა სპორტულ სექციებშია ჩაბმული. მართალია, წარმატებები საკმარისზე მეტია მოპოვებული, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ დიფირამბები ვუმღეროთ საკუთარ თავს და თვითდამშვიდებას მივეცეთ. ჩვენ კიდევ მრავალი ღონისძიება გვაქვს გასატარებელი, რომელთაგან პირველია სპორტის მასობრიობა. ჩვენი მიზანია ყოველი სტუდენტის ჩაბმა სპორტულ ღონისძიებებში. ამ საკითხს იმიტომაც ვაყენებთ ასეთი დაჟინებით, რომ უნივერსიტეტდამთავრებული ყველა სტუდენტი, გარდა უმაღლესი განათლებისა სპორტის რომელიმე სახეობასაც უნდა იყოს დაუფლებული, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლოს მისი დანერგვა და პოპულარიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად მრავალი ღონისძიება ტარდება. ეწყობა ლექცია-მოხსენებები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობაში. არ შეიძლება ისეთი საშუალების უგულებელყოფა, როგორიც არის გამოჩენილ სპორტსმენთა შეხვედრა სპორტის მოყვარულებთან. უნივერსიტეტში დღესაც ბევრი იგონებს უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩატარებულ შეხვედრას თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან.

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული ფიზიკური აღზრდის კათედრასთან, აქტიურ მონაწილეობას იღებს მის ყოველგვარ საქმიანობაში, რომელიმე გუნდის ცუდი გამოსვლა სპორტულ შეჯიბრებაში ყოველთვის ხდება მისი მსჯელობის საგანი.

ჩვენი დევიზია — „ყოველი სტუდენტი სპორტსმენიც უნდა იყოს!“

რ. მეტრეველი,

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ლელო

მე-3 გვ. № 14 (1650)

პირველი ჩემპიონი

(დასასრული)

დღეს — გამოცდილება, ხვალ — ახალგაზრდობა...

ასე შეაფასა მესამე საპრიზო ადგილისათვის მებრძოლთა მატჩი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა გ. შერსტნიოვმა. ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის ძლიერი კოლექტივი და თბილისის I გუნდი. თბილისელთა კარში გატანილ იქნა ოთხი შაიბა, ხოლო ქუთაისელთა კარში — არცერთი. მაგრამ, მაინც ახალგაზრდებს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ მრავალრიცხოვან მაყურებლებზე. უკანასკნელ პერიოდამდე მოედანზე თანაბარი ბრძოლა იყო გამართული. მეტიც, იყო რამდენიმეწუთიანი მონაკვეთები, როცა თბილისელებს აშკარა ტერიტორიული და ტექნიკური უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ რამდენიმეწუთიანი „აფეთქებები". ამ საინტერესო მატჩის პირველი პერიოდი დამთავრდა 1:0, მეორე პერიოდის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ხგარიში გახდა 2:0. თამაშის ბოლო საბოლოოდ გადაწყდა მას შემდეგ, რაც თბილისელი ე. ბურდულის შეცდომით კარგად ისარგებლა ქუთაისის მოთამაშემ ვ. ტუმანსკიმ და მესამე შაიბა გაიტანა. ამის შემდეგ თბილისელების შეუპოვრობამ იკლო, მათი ენთუზიაზმიც ჩაქრა და მათ კიდევ ერთი შაიბა მიიღეს.

— მე ეჭვიც არ მეპარება, — თქვა მსაჯმა, — რომ მეორე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ძალთა შეფარდება სულ სხვაგვარი იქნება თუნდაც ამ მატჩის მონაწილეთა შორის...

ამრიგად, ჩემპიონატში მეორე ადგილი მოიპოვა აჭარის ნაკრებმა, ხოლო ქუთაისის გუნდს მესამე ადგილი ხვდა წილად.

შ. ვადაჭკორია

პირველი სვლა...
ფოტოეტიუდი თ. ნიქაბაძისა.

ფიფა-ს საგანგებო კომისია

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დღეებში შედგა საგანგებო კომისიისა და ფიფა-ს წესდების განმხილავი კომისიის ერთობლივი სხდომა.

გადაწყდა, რომ მსოფლიოს VII ჩემპიონატის საორგანიზაციო კომისია თებერვლის დასასრულს გაემგზავრება ჩილეში, სადაც შეამოწმებს 1962 წლის მსოფლიო პრეველობის ფინალისათვის მზადების მსვლელობას.

უცხოეთის გაზეთები ამჟამად ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ ჩილეში გაჭირდება ტურისტთა დაბინავება. ამ საგანგაშო ხმებს იზიარებენ თვით მასპინძლებიც. ფიფა-ს კომისიას დავალებული აქვს ადგილზე შეამოწმოს ყველაფერი ეს და თუ იგი სინამდვილეს მოიცავს, მიიღოს შესაბამისი ზომები.



მსოფლიოს VI საფეხბურთო ჩემპიონატის წინ მიმომხილველთა შორის დიდი კამათი იყო იმაზე, თუ ვინ გახდებოდა ჩემპიონი, ვინ მოიპოვებდა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს. ესენი თითქმის აგდებულად ეკიდებოდნენ მასპინძლებს — შვედებს. მიმომხილველებს თითქოს ჰქონდათ კიდეც ამის საფუძველი, ვინაიდან შვეციის ნაკრები ფაქტურად შეჯიბრების დაწყების წინა დღეებში შეიქმნა და ზოგიერთ მის წევრს ერთმანეთი არც კი ენახა. მაგრამ დაიწყო შეჯიბრება და მასპინძლებმა ითამაშეს ისეთი აღმავლობით, როგორც არასდროს. შეიძლება კამათი იმაზე, რომ მეორე ადგილი მათზე უფრო ფრანგებს ეკუთვნოდათ, მაგრამ უდავოა ერთი რამ — შვედების გუნდი, დაკომპლექტებული იყო მაღალი კლასის ფეხბურთელებით, ყველა რგოლი თამაშობდა ზუსტად და თანაბრად. მაგრამ შვეციის ნაკრები ისევე ელვისებური სისწრაფით დაიშალა, როგორც შეიქმნა. დღეს, როცა დღის წესრიგში დგას ახალი მსოფლიო ჩემპიონატი, შვედების წინაშე კვლავ მრავალი პრობლემაა.

განდიდება და დაცემა

1948 წელს შვეციის ნაკრებმა იუგოსლაველებთან მოიგო ფინალური მატჩი და ოლიმპიური ოქროს მედლები მოიპოვა. საუკეთესო შვედ ფეხბურთელებს მაშინვე ყურადღება მიაქციეს უცხოელმა სპეციალისტებმა და წარმატებით გაბრუებულმა შვეციის ფეხბურთის მესვეურებმა ვერც მოასწრეს გამოფხიზლება, რომ იტალიაში გადაბარგდნენ ძმები ჰ. და კ. ნორდალები, გრენი და ლიდჰოლმი. მალე მათ კვალს მიყვა გარემარბი ჰამრინი. დღეისათვის მათი უმეტესობა ასაკის გამო ფეხბურთს ჩამოსცილდა, მაგრამ „ვაკანტური ადგილები" კვლავ შვედური ფეხბურთის ახალმა თაობამ დაიკავა. უცხოეთში წასული შვედი სამუდამოდ იკარგებოდა საკუთარი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრებისათვის, ვინაიდან იგი პროფესიონალი ხდებოდა. ეროვნულ ნაკრებში კიდევ შეიძლებოდა ხანდახან მათი მოწვევა, მაგრამ „პატიოსანი სიტყვის" მიცემის მიუხედავად უცხოური კლუბები მოთამაშეებს ხშირად არ უშვებდნენ სამშობლოში.

უკანასკნელ წლებში შვეციის ნაკრების დიდი წარმატება იყო ინგლისელებთან გამარჯვება ლონდონში (3:2). ამ სასიხარულო ამბავსაც სამწუხარო შედეგი მოყვა. „რეალის" მეპატრონე შეუჩნდა შვედების უძლიერეს თავდამსხმელს სიმონსონს, რომელმაც დიდხანს იუარა, ბოლოს მაინც ვერ გაუძლო ცთუნებას და მადრიდში გაემგზავრა. სიმონსონმა წარმატებით დაიწყო თავისი კარიერა ახალ გუნდში, მაგრამ 35 წლის დი სტეფანომ, რომელსაც მრავალი ასეთი „ვარსკვლავი" დაუჩრდილავს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, ისევ „იმძლავრა" და თავისი შვედი მეტოქე თადარიგში „გადაისროლა", სიმონსონს ამჟამად უმნიშვნელო მატჩებს თუ ანდობენ ხოლმე.

შვეციის ნაკრები იქმნება... იტალიაში

შვედური სპორტული პრესა გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ იტალიაში უფრო იოლია ძლიერი შვედური ნაკრების შედგენა, ვიდრე სამშობლოში. მართლაც, მცირე გამონაკლისს გარდა ყველა გამოჩენილმა ფეხბურთელმა აქ მოიყარა თავი. გამოჩენილი ნახევარმცველი გუსტავსონი („ატალანტა"), რომელიც VI მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სამყაროს იდეალურ ნაკრებში მოხვდა, დღესაც კარგ ფორმაშია. „მილანის" კაპიტანი ლიდჰოლმი თანაბარი წარმატებით მოქმედებს როგორც ნახევარდაცვაში, ისე თავდასხმაში. ბრწყინვალე ფეხბურთელია მარჯვენა გარემარბი ჰამრინი („ფიორენტინა"), რომელსაც დიდი სისწრაფე და დახვეწილი ტექნიკა აქვს. მსოფლიო ჩემპიონატის დროს თავის ადგილზე უძლიერესად მიიჩნიეს სკოგლუნდი (№11), რომელსაც ამჯობინებდნენ ბრაზილიელ ზაგალოს. იტალიაში დაბრუნებისთანავე მან მძიმე ტრავმა მიიღო, დიდხანს მოუხდა მკურნალობა და დაკარგა ძველი კლასი. დღეისათვის სკოგლუნდი „ინტერნაციონალედან" გადავიდა „სამპდორიაში" და შორსაა „შვედური" ფორმისაგან. საუცხოო გარემარბად ითვლება სელმოსონი, რომელიც „რომაში" თამაშობს. „ინტერნაციონალეს" თავდასხმის „დირიჟორი" ლინდსკოგი (№10) გარეგნულად რამდენადმე ფლეგმატურია, მაგრამ ღრმად ესმის თამაში და უზუსტეს გადაცემებს ანხორციელებს. ამ „ვარსკვლავების" გარეშე შვეციის ნაკრებს გაუჭირდება მსოფლიო ჩემპიონატში თამაში.

შვედები თუ შვეიცარიელები?!

ევროპის ზონის პირველ შესარჩევ ჯგუფში გაურკვეველი მდგომარეობაა. უკვე ჩატარდა ორი მატჩი: შვედებმა სტოკჰოლმში მოუგეს ბელგიელებს (2:0), რომლებიც თავიანთ მოედანზე დამარცხდნენ აგრეთვე შვეიცარიელებთან (2:4). ისე, რომ ბელგიელებს არავითარი შესაძლებლობა აღარა აქვთ იბრძოლონ პირველი ადგილისათვის. ესენი ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენენ მხოლოდ შვედებისათვის. ბრიუსელის მომავალ მატჩში ყველაფერს გადაწყვეტს შვედებისა და შვეიცარიელთა ორი შეხვედრა. ეს კი ძნელი მატჩებია, ვინაიდან შვეიცარიელები ამჟამად საუცხოოდ თამაშობენ და რევანშისათვის არიან განწყობილი.

ყოველივე ამის გამო შვეციის ნაკრების ხელმძღვანელობა მეტად შეშფოთებულია. თუ პირველ მატჩში უცხოეთში მყოფ შვედთაგან დროებით დაბრუნდა მხოლოდ თავდამსხმელი ბროდი, გადამწყვეტი მატჩისათვის „დაგეგმილია" ჰამრინის, სიმონსონის, იენსენის, გუსტავსონის, ლიდჰოლმის, ლინდსკოგისა და სხვათა მოწვევაც. თუმცა საბოლოო სიტყვას ამ საკითხზე მხოლოდ მათი მეპატრონეები იტყვიან.

გ. გამრეკელი

პორტლანდსა და გოსტონში

მიმდინარე წლის მძლეოსნური სპორტსმენთა ეროვნულად ექვსდღიანი ათეული-პენტათლონი. ამ დღეებში აშშ-ს მძლეოსნებმა მონაწილეობა მიიღეს ერთსა და იმავე დღეს გამართულ ორ შეჯიბრებაში.

პორტლანდში შესანიშნავი შედეგი აჩვენა ახალზელანდიელმა მორბენალმა მ. ჰელბერგმა, რომელმაც მეორედ გაუმჯობესა მსოფლიო მიღწევა 2 მილზე რბენაში. მისი შედეგია 8. 34,3 წამი — 2,3 წამით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს. ღია სტადიონისათვის. აღსანიშნავია, რომ მან უფრო ადრე სტენფორდის დარბაზში ამავე დისტანციაზე აჩვენა 8.40,4 წ. ბირთვის კერაში ორი ძირითადი კონკურენტის ჰ. ობრაიენისა და დ. ლონგის ორთაბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 18 მ 89 სმ. ლონგმა მასთან 83 სმ-ით წააგო.

წარუმატებლად გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი ო. დევისი 500 იარდზე რბენაში. მან წააგო მანამდე ნაკლებად ცნობილ რ. ჰარგერთან (აჩვენა 59,5 წ.) და მეორე ადგილი დაიკავა. 1000 იარდი მოიგო კანადელმა ს. ოლემენმა — 2.11,4.

ბოსტონში კარგი შედეგი აჩვენა რომის ოლიმპიურ თამაშებზე მეოთხე ადგილის მფლობელმა პორტო-რიკოელმა რ. კრუსმა, რომელმაც ჭოკით დაძლია 4 მ 42 სმ. 1000 იარდზე აქ უკეთესი შედეგი იქნა ნაჩვენები, ვიდრე პორტლანდში. ე. კანლიფმა ამ მანძილზე გარბენას მოანდომა 2.10,2 წამი.

რედაქტორი ი. უგულავა

2 თებერვალი

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი
საკავშირო პირველობა
ვაუები
„დინამო" (თბილისი) — ცსკ-მო
დასაწყისი 19 ს. 30 წ.



1 თებერვალი

ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი
საკავშირო პირველობა
ვაუები
„ბურევესტნიკი" (თბილისი) — სკიფი (რიგა)
დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03825